

შპს ბრენდ დილერ BRAND DEALER ს/კ 401991172

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

შპს ბრენდ დილერ BRAND DEALER ს/კ 401991172

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ბრენდ დილერ BRAND DEALER ს/კ 401991172

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები:

მოგება-ზარალის და სხვა კომპონენტების ანგარიშგება (Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income)	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (Balance Sheet)	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (Statement of Changes in Equity).....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash Flow Statement).....	6
ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ.....	7-9
დანართი.....	10-20

1. მოგება ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ანგარიშის დასახელება	შენიშვნა	2024	2023
ნეტო ამონაგები		7 215 222	6 985 914
საქონლის გაყიდვიდან		7 215 222	6 985 914
გაყიდვების თვითღირებულება		(5 617 862)	(5 565 347)
საერთო მოგება		1 597 360	1 420 567
შრომის ანაზღაურება ხელფასი ადმინის/გაყიდ		(540 115)	(417 857)
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი		(29 847)	(33 206)
იჯარის ხარჯი		(36 725)	(34 054)
სხვა ხარჯი		(86 231)	(133 898)
საოპერაციო მოგება		904 442	801 552
გაუფასურების ხარჯი მარაგები		(0)	(4586)
უცხოური ვალუტის კურსთა შორის ცვლილებით მიღებული მოგება/ზარალი		(79 742)	(37 983)
მოგება / ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		824 700	758 983
მოგების გადასხდის ხარჯი		0	0
საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი		824 700	758 983
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		5 691 342	4 174 678
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
წინა საანგარიშო პერიოდიში გამოწვეული ცვლილება		0	0
კაპიტალი და სხვა ცვლილებები		1 333 334	757681
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		7 849 376	5 691 342

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

სევინდიე აიდამიროვა
23 სექტემბერი 2025 წელი 16:48

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ანგარიშის დასახელება	შენიშვნა	2024	2023
გრძელვადიანი აქტივები		40 406	69 702
სხვა ძირითადი საშუალებები		40 334	69 505
არამატერიალური აქტივები		72	197
მიმდინარე აქტივები		4 175 545	3 508 371
მარაგები		4 175 545	3 508 371
სხვა მოკლევადიანი აქტივები		3 945 303	3 026 846
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		107 086	116 041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2 967 512	1 858 086
მომწოდებლებზე გადახდილი /ავანსად გაცემული ფულადი სახსრები		870 705	1 052 544
სულ აქტივები		8 161 254	6 604 919
სავაჭრო ვალდებულებები		215 344	755 534
საგადასახდო ვალდებულებები		54 671	95 611
საიჯარო ვალდებულება		32 893	0
ვალდებულება თანამშრომლებთან მიმართ		8970	3000
ავანსად მიღებული თანხები		0	15 826
სხვა ვალდებულებები		0	43 606
სულ ვალდებულებები		311 878	913 577
საწესდებო კაპიტალი		1 333 334	849 837
გაუნაწილებელი მოგება		6 516 042	4 841 505
სულ ვალდებულება და კაპიტალი		8 161 254	6 604 919

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის მფლობელებს უფლება აქვთ შეუზღუდავად გაზარდონ საწესდებო კაპიტალი, საერთო კრების მოწვევით და მხოლოდ მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ საფუძველზე, რომ მფლობელი კომპანიაში შეიტანს ფულად ან არაფულად (მატერიალურ) სახსრებს.

ოპერაციის შინაარსი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	საერთო ჯამი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	849 837	4 841 505	5 691 342
კაპიტალის ამოღება (შემცირება)	(1 239 267)	0	(1 239 267)
მფლობელის შენატანები კაპიტალის ჩადება (ზრდა)	1 722 764	0	1 722 764
დივიდენდი	0	0	0
წლის მოგება /ზარალი	0	824 700	824 700
სხვა ცვლილებები	0	0	0
2024 წლის 31 დეკემბერი	1 333 334		7 849 376

4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash Flow Statement)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ასახავს კომპანიის ფულადი სახსრებისა და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტების შემოძინებასა და გადინებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. იგი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის ფულადი სახსრების გენერირების და მათი გამოყენების უნარის შესახებ.

1. **საოპერაციო საქმიანობა** — კომპანიის ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც არ მიეკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას.
 - მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ ფულს, მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გადახდილ თანხებს, გადასახადებს და სხვა მიმდინარე ოპერაციულ გადახდებს.
2. **საინვესტიციო საქმიანობა** — გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციების შეძენა და განკარგვა, რომლებიც არ მიეკუთვნება ფულადი სახსრების ექვივალენტებს.
 - მოიცავს ძირითადი საშუალებების შეძენასა და გაყიდვას, არამატერიალური აქტივების შეძენას და ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებს.
3. **საფინანსო საქმიანობა** — ისეთი საქმიანობა, რომელიც იწვევს კომპანიის კაპიტალისა და სესხების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებას.
 - მოიცავს სესხების მიღებასა და დაფარვას, დივიდენდების გადახდას და სხვა ფინანსურ ტრანზაქციებს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ლიკვიდობის, ფინანსური მოქნილობისა და ოპერაციების მდგრადობის შეფასების მნიშვნელოვან საფუძველს

ფულადი ნაკადები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7457681	7152741
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(6346126)	(6416883)
გადასახადებზე გადახდილი თანხები	(1603456)	(1352058)
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(551)	(3250)
საინვესტიციო ფულადი ნაკადები კაპიტალი შემოტანა	1722764	1226271
საინვესტიციო ფულადი ნაკადები კაპიტალი გადახდა	(1239267)	(519336)
ფულადი სახსრების ნეტო ზრდა/(შემცირება)		
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ფულადი სახსრები	116041	28556
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფულადი სახსრები და ექვივალენტები	107086	116041

შპს ბრენდ დილერ BRAND DEALER ს/კ 401991172

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრენდ დილერ“-ი (BRAND DEALER) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2013 წლის 4 დეკემბერს. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თევდორე მღვდლის ქუჩა №43-ში, საიდენტიფიკაციო ნომრით 401991172.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საყოფაცხოვრებო ტექნიკით საბითუმო ვაჭრობა, მათ შორის:

- წყლის ტუმბოები;
- შემრევი ონკანები;
- წყლის გამაცხელებელი ქვაბები;
- აბაზანის კერამიკული ნაწარმი (უნიტაზები და ხელსაბანი ნიჟარები).

კომპანიის ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №112, ლოჭინის ხეობა, საწყობი №1.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელი არის:

კომპანიის 100% წილის მფლობელი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სევენდიე აიდამიროვა პ/ნ 15001006395	100%	100%

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „ბრენდ დილერ“-ი (BRAND DEALER)-ის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის (Going Concern) საფუძველზე, დაშვებით, რომ კომპანია აგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

შპს „ბრენდ დილერ“ განეკუთვნება III კატეგორიის საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება შედგენილია III კატეგორიის საწარმოებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების

შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) გამოყენებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს ან ნებას რთავს სხვა საფუძველზე შეფასებას. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ანგარიშგებაში წარმოდგენილი რიცხვები გამოხატულია ლარში და დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა — ლარი (GEL), რომელიც ასევე წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტას.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის (Going Concern) საფუძველზე, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას პროგნოზირებადი მომავლის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მოქმედი საწარმოს პრინციპის გამოყენებით. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ოპერაციების მომგებიანობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული ეკონომიკური გარემოსა და სამომავლო მოვლენების პროგნოზირება რთულია, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულება, მაღალი ლიკვიდობა და საკმარისი ფინანსური რეზერვები უზრუნველყოფს კომპანიის მდგრადობას და არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა კომპანიის ფუნქციონირებადობას ანგარიშგების თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

საგარეო ვალუტის ოპერაციების აღრიცხვა

საგარეო ვალუტაში შესრულებული ოპერაციები აღირიცხება ფიქსირებული ოპერაციის თარიღის ფუნქციონალური ვალუტის კურსით. ანგარიშგებაში, ვალუტაში აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება ანგარიშგების დასრულების თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური (ლარის) გაცვლითი კურსით.

ვალუტის (კურსთა შორის) სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა საგარეო ვალუტის აქტივებისა და ვალდებულებების გადანგარიშების შედეგად, აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალის ანგარიშგებაში (profit or loss), გარდა შემთხვევებისა, როდესაც IFRS ან მსს ფასს მოითხოვს სხვაგვარად აღრიცხვას (მაგ., სამართლიანი ღირებულების რეზერვში, თუ აქტივი იძლევა ასეთი აღრიცხვის შესაძლებლობას).

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახორციელებს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც საჭიროა მომავალი პერიოდებისათვის. აღნიშნული შეფასებები და გადაწყვეტილებები ეფუძნება კომპანიის გამოცდილებას, მიმდინარე ფინანსურ გარემოს და სხვა რელევანტურ ფაქტორებს, რათა აისახოს საქმიანობის გაგრძელება პროგნოზირებადი მომავლის პირობებში.

მომავალში მიღებული შედეგები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც არსებით რისკს შეიცავენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში მომდევნო ფინანსურ წელს.

კომპანია რეგულარულად გადახედავს შეფასებებსა და დაშვებებს, მოქმედი საწარმოს პრინციპის (Going Concern) გათვალისწინებით. შეფასებების გადახედვის შედეგები აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც გადახედვა მოხდა, თუ შედეგები ეხება მხოლოდ მიმდინარე პერიოდს, ან მიმდინარე და მომდევნო პერიოდებს, თუ გავლენას ორივე პერიოდზე ახდენს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა მონაცემზე, თუ არ არის მითითებული სხვაგვარად.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები (გარდა მიწისა და შენობისა) აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებს, გამოუქვითავ გადასახადებს და სხვა პირდაპირი ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციისთვის.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას შორის და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხება დამოუკიდებლად და კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილია. სხვა ხარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზირებადია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება. ყველა სხვა ტიპის ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი განხორციელების მომენტში.

ცვეთის ხარჯი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას, შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი მზად იქნება გამოყენებისთვის.

სასარგებლო მომსახურების ვადები და აქტივების ცვეთა

ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა განხორციელდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ეფუძნება ხელმძღვანელობის პროფესიულ შეფასებებს იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაში კომპანია მოსალოდნელია აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

მომავალი სარგებლის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს:

- აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას;
- ტექნიკურ მოძველებას;
- ფიზიკურ ცვეთას;
- აქტივის გამოყენების გარემოს.

ეს შეფასებები პერიოდულად გადამოწმდება, ხოლო სააღრიცხვო ცვლილებები შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეფექტი საბალანსო ღირებულებებზე და მომგებიანი ანგარიშების მუხლებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები ფასდება გაუფასურების შემთხვევაში ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. აქტივი მიიჩნევა გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივის შექმნის შემდეგ გაჩენილი ფაქტორები შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს მომავალში მისაღებ ფულად ნაკადებზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრას ახდენს სავაჭრო მოთხოვნების ჯგუფების მიხედვით, რომლებიც დაჯგუფებულია ვადიანობისა და საკრედიტო რისკის მსგავსობის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთი გათვლილია უკანასკნელი სამი წლის ისტორიულ მონაცემებზე და დაკორექტირებულია მიმდინარე და პროგნოზირებადი მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლებზე.

ამასთან, აღნიშნული შეფასებები მოიცავს დაშვებებსაც. მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ დაშვებებსა და შეფასებებში შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვან განსხვავებებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაში.

შენიშვნა-ნაგებობები	-	30 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	-	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	-	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თანდათანობითი დანაწილების საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

შპს ბრენდ დილერ BRAND DEALER ს/კ 401991172

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის (ლარში)

კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფისთვის და სხვა აქტივებისთვის შეადგენს 5–7 წელს.

ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით (straight-line method), ხოლო აქტივის წლიური ამორტიზაციის განაკვეთი შეადგენს დაახლოებით 15%.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთა
სულ

2023
(33 206)
(33 206)

2024
(29 847)
(29 847)

აქტივი	საბალანსო ღირებულება 01.01.2024	შეძენა	ამორტიზაცია	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება 31.12.2024
კომპიუტერები	7481		3139		4968
ტრანსპორტი	37254		19479		17776
საწყობის ინვენტარი	22979		6821		16 785
ჯამი	69729		29874		40 406

ამონაგები (შემოსავალი)

შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული აქტივი ან სერვისი გადაცემულია მომხმარებელს და შემოსავალი შეიძლება სანდოდ შეფასდეს.

შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი

	2023	2024
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	6 985 914	7 215 222
სულ შემოსავალი	6 985 914	7 215 222

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წლის განმავლობაში რეალიზებული საქონლის მთლიან თვითღირებულებას. თვითღირებულება მოიცავს მარაგების შესყიდვის ღირებულებას, მათ გადაზიდვას საჭირო ადგილამდე, ტრანსპორტირების ხარჯებს, საბაჟო მოსაკრებლებს და სხვა პირდაპირი ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მიღებასა და გამოყენებასთან. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება განსაზღვრულია **FIFO (First In, First Out)** მეთოდით.

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება წლების მიხედვით (ლარში):

გაყიდვების თვითღირებულება	2023	2024
პროდუქციის თვითღირებულება	(5 565 347)	(5 617 862)
სულ	(5 565 347)	(5 617 862)

შრომის ანაზღაურება

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიანი გასამრჯელო, რომლის მიღების უფლება დაქირავებულმა პირმა მოიპოვა საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღირიცხება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც კაპიტალიზებულია მარაგების, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივების თვითღირებულებაში.

მოკლევადიანი გასამრჯელოს ხარჯი ფასდება არადისკონტირებული თანხის საფუძველზე, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება როგორც არადისკონტირებული თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შრომის ანაზღაურების ხარჯი წლების მიხედვით (ლარში):

შრომის ანაზღაურება	2023	2024
მოკლევადიანი გასამრჯელო-ხელფასი	(417 857)	(4952017)
ანაზღაურებადი შვებულება-	(0)	(44 898)
სულ ჯამი	(417 857)	(540 115)

იჯარა კლასიფიკაცია:

- იჯარა კლასიფიცირდება **ფინანსურ იჯარად** (finance lease), თუ იჯარით გადაცემული აქტივი ფაქტობრივად ყველა რისკსა და ეკონომიკურ სარგებელს გადასცემს საწარმოსათვის.
- ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება **საოპერაციო იჯარად** (operating lease).

ფინანსური იჯარით აღრიცხვა:

- ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივზე უფლებები აღირიცხება საწარმოს აქტივად, იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულების ან, თუ ნაკლებია, **საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული მინიმუმის** ტოლი თანხით, რომელიც განსაზღვრულია იჯარის დაწყების დროს.
- შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც **ფინანსური იჯარის ვალდებულება**.

საიჯარო გადასახდელების განაწილება:

- საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ **ფინანსურ ხარჯებს** და **საიჯარო ვალდებულების შემცირებას** შორის, ისე რომ მიიღება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნაშთზე.
- დარიცხული ფინანსური ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამორტიზაცია და გაუფასურება:

- ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითადი საშუალებების ჯგუფში.
- მათზე დაწესდება ცვეთის აღრიცხვა და გაუფასურების შეფასება იმავე პრინციპებით, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

საოპერაციო იჯარა:

- ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აღირიცხება მოგება-ზარალში **იკლონება იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი ან სხვა სამართლიანი მეთოდით**.

პერიოდი	2023	2024
საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები	(34 054)	(36 725)
ჯამი	(34 054)	(36 725)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2024
საგადასახადო ხარჯი ქონება	(847)	(551)
დაზღვევის ხარჯი	(712)	(711)
საკონსულტაციო	(20)	(300)
მივლინების ხარჯი	(29839)	(19535)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(305)	(305)
საბანკო ხარჯი	(9081)	(8442)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(8357)	(10802)
საწვავი	(25128)	(28939)
გზავნილები- საფოსტო მომსახურება	0	(25)
სალარო აპარატის მომსახურება	(263)	(197)
სხვა კონტინენტის დაყოვნების ხარჯი	(346)	(0)
რეკლამის ხარჯი	(47324)	(8504)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(9455)	(5214)
საწყობის რენოვაცია	(1313)	(0)
პროგრამის განახლების ხარჯი	(273)	(517)
ჯარიმა საპატრულო	(180)	(1440)
საურავები	(455)	(749)
სულ ხარჯი	(133 898)	(86 231)

მარაგები

შეფასება:

მარაგები ფასდება ღირებულების და შეფასებითი გასაყიდი ფასის შორის უმცირესი თანხით (lower of cost and net realizable value). თვითღირებულება მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირებას და სხვა პირდაპირი ხარჯებს, აუცილებელ დანახარჯებს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის.

გაუფასურების ზარალი:

მარაგის საბალანსო ღირებულების შემცირების შემთხვევაში, განსხვავება აღირიცხება გაუფასურების ზარალის სახით და დაუყოვნებლივ ასახდება მოგება-ზარალში.

გაუფასურების კორექტირება:

შემდეგ საანგარიშგებო თარიღზე, თუ მარაგის ნეტო რეალიზაციის ფასი (net realizable value) გაიზრდება, გაუფასურების ზარალი აღდგება, ისე რომ მარაგის საბალანსო

ღირებულება კვლავ შეესაბამებოდა უმცირეს მნიშვნელობას: თვითღირებულება ან კოსტის შემცირებული, გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯებით.

გაყიდვის აღრიცხვა:

მარაგი აღირიცხება **ხარჯად იმ პერიოდში**, როდესაც აღნიშნული მარაგი რეალიზებულია და შემოსავალი აღირიცხა შესაბამის ანგარიშგებაში.

	2023	2024
სასაქონლო მატერიალური მარაგები		
მარაგები :		
წყლის გამაცხელებელი ქვაბები	0	531 135
წყლის ტუმბოები	0	1 820 288
ონკანები	0	681 433
კერამიკული ნაწარმი	0	173 816
სხვა მარაგები მიღები	0	968 873
სულ	3 508 371	4 175 545

შენიშვნა:

2024 წლის სმფ-ების ინვენტარიზაციის აქტის ჩატარებისას დადგინდა, რომ მარაგების გარკვეული ნაწილი სარეალიზაციოდ და გამოყენებისთვის უვარგისია (დანართი №1).

კერძოდ, კერამიკული ნაწარმი (დამსხვრეული უნიტაზები და ხელსაბანები) თვითღირებულებით შეადგენს **41,522 ლარს**. გარდა ამისა, 2024 წლის 12 ოქტომბერს საბაჟო დეკლარაციის ნომრით **A104359**, იმპორტიორი კომპანიის **შპს „შიმგეს“** (ჩინეთი) მიერ შემოტანილი კონტეინერი აღმოჩნდა წყალში ჩაძირული.

კონტეინერის გახსნისას მასში აღმოჩნდა წყლით დაზიანებული პროდუქცია. აღნიშნულის შესახებ შეტყობინება მიეწოდა სატრანსპორტო კომპანიას, რომელმაც ჩართო სადაზღვევო კომპანია, თუმცა ზარალის ანაზღაურება დღემდე არ განხორციელებულა.

დაზიანებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა **127,766 ლარი**. იგი ამჟამად განთავსებულია კომპანიის საწყობის ტერიტორიაზე.

აღნიშნული მარაგები ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე არ ყოფილა ჩამოწერილი, ვინაიდან მათი ჩამოწერა საჭიროებს შემოსავლების სამსახურის თანხმობას კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული მარაგები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შეფასება მოკლევადიანი მოთხოვნებისათვის:

- სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშვა მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების მიყიდვიდან, აღირიცხება მომავალში მიღებადი ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით (impairment loss), რომელიც ასახავს მოთხოვნებიდან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

შეფასება განსაკუთრებული პირობების კრედიტის შემთხვევაში:

- მომხმარებელზე, ვისთანაც ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული, უპროცენტო კრედიტი გამოიყენება, მოთხოვნა აღირიცხება საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აღნიშნული მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით (amortized cost) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (effective interest rate) მეთოდით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

შესაბამისი რეალობების აღრიცხვა:

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებით, შემცირებული პროგნოზირებადი დანაკარგებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წლების მიხედვით (ლარში):

კატეგორია	2023 წელი	2024 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	1858087	2967512
ჯამი	1 858 087	2 967 512

შენიშვნა:

სავაჭრო მოთხოვნის ზრდა ძირითადად განპირობებულია ჰიპერმარკეტ შპს „ნოვასთან“ გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიის პროდუქცია განთავსებულია შპს „ნოვას“ ფილიალებში საქათველოს ყველა ფილიალში, ასევე დამატებით შეირჩა მაღალრეიტინგული სავაჭრო მაღაზიები საქართველოს მასშტაბით ყველა დიდ ქალაქში თელავი, გორი. ხაშური, ახალქალაქი, გარდაბანი, ზესტაფონი, ქუთაისი, ბათუმი ზუგდიდი და ფოთი სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოყოფილია სტენდები სადაც განთავსებულია საქონლის ასორტიმენტი.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები (ლარი)

შეფასება:

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს და ყველა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის, ადვილად გადასაყვან ფინანსურ აქტივს, რომელიც არ აჭარბებს შენარჩუნების ვადას 3 თვეს და რომლის განაკვეთიც არ შეიცვლება მნიშვნელოვნად.

ფულის ექვივალენტები:

ფულის ექვივალენტები მოიცავს:

- ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ფულს,
- მოკლევადიან დეპოზიტებს,
- სხვა აქტივებს, რომლებიც სწრაფად შეგიძლიათ ფულად სახსრებად გარდაქმნათ, რისკის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

აღრიცხვა:

- ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღრიცხება საბალანსო ღირებულებით, რაც ფაქტიურად შეესაბამება აღრიცხული თანხის არადისკონტირებულ მნიშვნელობას.
- ანგარიშგების პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებები ასახულია სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეცვლის ანგარიშში (Statement of Cash Flows).

კონტროლის პრინციპი:

- კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფულადი სახსრების უსაფრთხოებას, მათ კონტროლს და მკაცრ ავტორიზაციას, რათა შემცირდეს დაკარგვის, თაღლითობის ან სხვა ფინანსური რისკების ალბათობა.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში (ლარში):

კატეგორია	2023 წელი	2024 წელი
ფული ბანკის ანგარიშები (ლარი)	77944	58598
ფული ბანკის ანგარიშები (აშშ დოლარი)	991	1176
სალარო ნაღდი ფული (ლარი)	37106	47313
ჯამი	78935	107086

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2023	2024
სავაჭრო ვალდებულებები	(755534)	(21 344)
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	(3000)	(8970)
სხვა ვალდებულება იჯარა	(15826)	(32893)
საგადასახადო ვალდებულება	(95611)	(54671)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(913 577)	(311 878)

პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 და 2024 წლებში კომპანია მონაწილეობს სასამართლო დავებში. დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. მოპასუხე მხარეს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის სამსახური. ხელმძღვანელობის აზრით სასამართლო დავის წაგების შემთხვევაშიც სადაო თანხის სიმცირის გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხის შექმნა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. (სადაო თანხა შეადგენს 5000 ლარს.)

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშებასაქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

შენიშვნა: კომპანიის ხელმძღვანელობას სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია კომპანიას მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

უცხოური ვალუტა	აშშ	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ჩინური იუანი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753	3.4228	0.3781	0.0299
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306	3.5349	0.0170	0.0770

სარეკომენდაციო შენიშვნები

შენიშვნა:

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის იყენებს საბუღალტრო პროგრამას „ორის ბუღალტერია 5“ (მულტისავალუტო ვერსია 5.245). აღნიშნული პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს კომპანიის საჭიროებებს, რის შედეგადაც საწარმოს შეექმნა არაერთი პრობლემა, მათ შორის:

- მარაგების ზუსტი თვითღირებულებით აღრიცხვის შეზღუდული შესაძლებლობა.
- უცხოური ვალუტის კურსებთან დაკავშირებული სირთულეები.

მეტი კონტროლისა და ფინანსური ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, საჭიროა უფრო მრავალფუნქციური და მაღალი კონტროლის დონის მქონე სააღრიცხვო სისტემის დანერგვა.